



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



TALAZOPARIB - TALZENNA®

რა არის TALZENNA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ტალაზოპარიბი	0,25 მგ-იანი კაფსულა: სპილოსძვლისფერი და თეთრი 1 მგ-იანი კაფსულა: წითელი და თეთრი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ-იანი დღეში, ანუ მგ-იანი კაფსულა, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთხელ, ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან, კაფსულების გაშლის ან განზავების გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვებათა შორის შუალედში.

დავინწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

დღეში ერთხელ, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვებათა შორის შუალედში										
უწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7		 დ28	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო.

ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

TALZENNA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ გრეიფრუტის, პომელოს, კრაზანას, კურკუმას, ზეთისხილის, იონჯის მიღებას TALZENNA®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები

ყველაზე ხშირი



SFPO-ს ონკოპროექტი ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution 4.0 International .

ემყარება შემდეგ ნაშრომს <https://oncolien.sfpo.com>.

ამ ლიცენზიის გარეშე ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე <https://www.sfpo.com>

საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

	ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: ჰემოგლობინის შემცირება (ანემია), ნეიტროფილური პოლინუკლეარების შემცირება (ნეიტროპენია) და თრომბოციტების შემცირება (თრომბოპენია) მომწელებელი სისტემის დარღვევები: გულის რევის შეგრძნება, მადის დაკარგვა, დიარეა, ლებინება, ტკივილები მუცლის არეში, წყლული პირის ღრუში (აფთები) თმის ცვენა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	მომწელებელი სისტემის დარღვევები თუ სწრაფად და/ან დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე რევი გადიხართ კუჭში ტკივილები პირის ღრუს არეში ან აფთები, რომლებიც ხელს გიშლით ნორმალურ კვებაში ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში. ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები ტემპერატურა > 38,5 °C ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად სისხლდენის მაჩვენებელი სიმპტომები სისხლი განავალში ან ლებინების შემთხვევაში ჰემატომები (ჩალურჯებები), ცხვირიდან სისხლდენა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში თავის ტკივილები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლოთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი, გაიკეთეთ პირის ღრუ სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს
თმის ცვენა	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯაგრისს თავიდან აიცილეთ თმის ძალიან ხშირი დაბანა. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.
დადლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებალეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის სანინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანი დაბალი შემცველობის დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმი ხილისა და ბოსტნეულის, რძის პროდუქტების, ყავის და ალკოჰოლის მიღებას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“.
ანთება პირის ღრუში (აფთები)	მოერიდეთ მუავე ან ნებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.

